იური ჩიქოვანი

ზურაბ (ტატო) ბარათაშვილი

ცხრუკვეთელი აზნაური წერეთლები და მათი შთამომავალნი

(გენეალოგიური გამოკვლევა)

ცხრუკვეთელი აზნაური წერეთლები და მათი შთამომავალნი*

(გენეალოგიური გამოკვლევა)

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი ასახავს წერეთელთა საგვარეულოს ერთ-ერთი განშტოების, ცხრუკვეთელი, ტახტის აზნაური წერეთლების და მათ შთამომავალთა გენეალოგიური გამოკვლევის შედეგებს ნუსხის და მასში შემავალ ცალკეულ პირთა მოკლე ბიოგრაფიული ცნობების (კომენტარების) სახით. ნუსხის ქრონოლოგია მოიცავს XVIII – XX საუკუნეებს და წარმოდგენილია 7 თაობის მონაცემებით.

მოცემულ გენეალოგიურ გამოკვლევას საფუძვლად დაედო „საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორაში“ დაცული მეტრიკული ჩანაწერები (ცნობები დაბადების, ნათლობის, ჯვრისწერის და გარდაცვალების შესახებ), „ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს“ საბუთები (1837-1917 წწ.) და, ასევე, მაია გიორგის ას. წერეთლის (ნუსხაში № 31/19) მიერ მოწოდებული ინფორმაცია მამისა და მამიდების შესახებ.

ზოგიერთ ნაშრომსა (ურუშაძე 2012: გვ. 6, 11) და ვიკიპედიის სტატიებში ვასილ (ნუსხაში № 9/4), მიხეილ (ნუსხაში № 12/4) და გიორგი (ნუსხაში № 19/9) წერეთლების შესახებ მითითებულია, რომ წერეთელთა ეს საგვარეულო (რომელსაც იხსენიებენ მოძღვრიშვილ-წერეთლებად), თითქოსდა, სათავეს იღებს ალექსანდრე V-ისა და სოლომონ I-ის კარის მოძღვრის, სვიმონ წერეთლისა და დავით II იმერთა მეფის ასულის, ანასტასია (იგივე ატატო) ბაგრატიონისგან. ამ საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ შედგენილი საოჯახო გენეალოგიური ნუსხის თანახმად, აზნაურ სვიმონ წერეთლის შვილი უნდა იყოს გრიგოლ წერეთელი, რომლიდანაც მოდიან ჩვენი ნუსხით წარმოდგენილი ცხრუკვეთელი აზნაური წერეთლები.

ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით მსურს აღვნიშნო შემ-დეგი: იური ჩიქოვანის მიერ სამი ათეული წლის მანძილზე ჩატარებულმა კვლევამ ვერ გამოავლინა აღნიშნულის დამადასტურებელი ვერანაირი დოკუმენტი, მის მიერვე კი დადასტურებული და გამოქვეყნებულია ფაქტი, რომ ზემოთ ნახსენები ანასტასია (ატატო) ბაგრატიონის მეუღლე გახლდათ არა აზნაური წერეთელი, არამედ თავადი დავით ქაიხოსროს ძე აგიაშვილი (1768-1838), რომლისგანაც მას დარჩა ვაჟი, სიმონ (სიკო) აგიაშვილი, დაბ. 1810 წელს. იმის გამო, რომ ი. ჩიქოვანმა ვერ აღმოაჩინა რაიმე ისტორიული საბუთი, რომელიც დაადასტურებდა აზნაურ გრიგოლ წერეთლის მამის ვინაობას, მის მიერ შედგენილი ქვემორე ნუსხაც იწყება

---

* გარეკანზე წარმოდგენილია გიორგი ვასილის ძე და მიხეილ გრიგოლის ძე წერეთლების ფოტოები.

პირდაპირ გრიგოლ (და არა სვიმონ) წერეთლით (ნუსხაში № 1), მამის სახელის მითითების გარეშე, განსხვავებით წერეთელთა საოჯახო ნუსხისგან, სადაც გრიგოლის მამად მითითებულია სვიმონ წერეთელი.

ნუსხაში იური ჩიქოვანის მონაცემებს მიემატა მიხეილ წერეთლის ვაჟის, ოთარის (ნუსხაში № 22/12) ქორწინების გარეშე დაბადებული ქალიშვილიც, მარიამი (ნუსხაში № 32/22), რომელსაც აღნიშნული მიზეზის გამო არ უტარებია მამის გვარი. იგი ატარებდა ჯერ დედის (გვარად – ვინდი), ხოლო შემდეგ მამინაცვლის (გვარად – რეგენფუსი) გვარს (სამსონია 2005: გვ. 19).

წერეთლების მიერ შედგენილ ზემონახსენებ საოჯახო-საგვარეულო ნუსხაში წარმოდგენილია სხვა განშტოებებიც, რომლებიც, იმავე მიზეზის გამო, რომ არ გაგვაჩნია მათი არსებობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები, ჩვენს გენეალოგიურ ნუსხაში არ აიასახა.

შემდგომი კვლევისთვის აუცილებელია ბოლომდე იქნეს შესწავლილი ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული „ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს“ № 1 ფონდის საბუთთა ის ნაწილი, რომლის დამუშავებაც ვერ მოასწრო იური ჩიქოვანმა. ამ საბუთებმა, შესაძლოა, გამოავლინოს აზნაურ წერეთელთა ცხრუკვეთელი განშტოების ის წარმომადგენლები, რომლებიც წინამდებარე გენეალოგიურ ნუსხაში არ აისახა.

ზურაბ (ტატო) ბარათაშვილი


I თაობა
სოფ. ცხრუკვეთი
აზნაური გრიგოლ წერეთელი[1]
II
ივანე[2] დ. 1796
III
ბეჟან[3] დ. 1820
გრიგოლ[4] (გიორგი) დ. 1830
მზეხათუნ[5] დ. 1832
ნიკოლოზ[6] დ. 1834
სალომე[7] დ. 1838
IV
ილია[8] (ილიკო) დ. 1862
ვასილ[9] 1862 – 1937
სერგო[10] დ. 1865
ევდოკია[11] (კონა) გ. 1925
მიხეილ[12] (მიხაკო) 1878 – 1965
იოსებ[13] 1864 – 1953
დავით[14] დ. 1870
სოლომონ[15] დ. 1875
V
ივანე[16] 1897 – 1969
ბარბარე[17] (ბაბო) 1902 – 1970
გიორგი[19] 1904 – 1973
მარიამ[21] (მარგო) დ. 1913
ოთარ[22] 1907 – 1945
ალექსანდრე[23] (ალიოშა) 1889 – 1967
მიხეილ[25] დ. 1897
თამარ[27] დ. 1902
ელენე[29] დ. 1907
თინათინ[18] (თიკო) 1903 – 1980
ელენე[20] (ელიკო) 1910 – 1988
ვლადიმერ[24] დ. 1893
ალექსანდრა[26] დ. 1899
ნიკოლოზ[28] დ. 1905
VI
ილია[30] დ. 1936
მაია[31]
მარიამ[32] (მარო) დ. 1945
მზია[33] 1927 – 2018
VII
ნინო[34] დ. 1964
ხათუნა[35] დ. 1965
ნუსხა, შესაბამისი კომენტარებითურთ, შეადგინა იური ჩიქოვანმა
ზურაბ (ტატო) ბარათაშვილის მონაწილეობით, რომლის მიერ მოძიებულ
პირთა სახელები და თარიღები მოცემულ ნუსხაზე დატანილია მწვანე ფერით

აზნაურ წერეთელთა (სოფ. ცხრუკვეთი) გენეალოგიური ნუსხის კომენტარები

კომენტარები შეადგინა იური ჩიქოვანმა ზურაბ (ტატო) ბარათაშვილის მონაწილეობით

კომენტარებსა და ნუსხაში გამოყენებულია შემდეგი პირობითი აღნიშვნები და შემოკლებები:

„**o**“ – ჩანს დოკუმენტებში (ამა და ამ წელს)

„**დ.**“ – „**დაიბადა**“ (ამა და ამ წელს)

„**გ.**“ – „**გარდაიცვალა**“ (ამა და ამ წელს)

„**N.**“ – სახელი (მამის სახელი, ან გვარი) ავტორებისთვის უცნობია.

„**~**“ – ქორწინების აღმნიშვნელი სიმბოლო

2/1. ივანე გრიგოლის ძე. (1796 – o 1846).
~ სუსანა N. (1801 – ?).

3/2. ბეჟან ივანეს ძე. (1820 – ?).
~ მარინა მერაბის ასული N.

4/2. გრიგოლ (გიორგი) ივანეს ძე. (1830 – ?).
~ მაია, აზნაურ ფარსადან იაშვილის ასული. (1841 – ?), სოფ. სომიწო.

5/2. მზეხათუნ ივანეს ასული. (1832 – ?).
~ (10.02.1857) აზნაური შამშე ივანეს ძე აბაშიძე. (1837 – 1913), სოფ. ბოსლევი.

6/2. ნიკოლოზ ივანეს ძე. (1834 – ?). მღვდელი.
~ ნატალია გედევანის ასული N.

8/3. ილია (ილიკო) ბეჟანის ძე. (6.01.1862 – o 1915).
~ სოფიო, აზნაურ იოსებ ჯაფარიძის ასული. (ᲂ 1915), ჭიათურა.

9/4. ვასილ გრიგოლის (გიორგი) ძე. (17.01.1862 – 1937). ექიმი, პუბ-ლიცისტი.
~ (8.02.1900, ქუთაისი) ქეთევან, აზნაურ ზოსიმე ჩიქოვანის ასული.(1875 – ?). სოფ. ნოქალაქევი.

10/4. სერგო გრიგოლის (გიორგი) ძე. (1.01.1865 – ?).

11/4. ევდოკია (კონა) გრიგოლის (გიორგი) ასული. (? – 1925).

12/4. მიხეილ (მიხაკო) გრიგოლის (გიორგი) ძე. (3.02.1878 – 2.03.1965). აღმოსავლეთმცოდნე, რუსთველოლოგი, პირველი ქართველი სოციოლოგი, პარტიული კუთვნილება – ანარქისტი.
~ (10.06.1906) მარიამ, თავადის, რევაზ ვახვახიშვილის ასული. (1875 – 1965).

13/6. იოსებ ნიკოლოზის ძე. (15.03.1864 – 1953). მღვდელი.
~ ოლღა, პავლეს ასული N. (1864 – 1934).

14/6. დავით ნიკოლოზის ძე. (8.01.1870 – ?).

15/6. სოლომონ ნიკოლოზის ძე. (1.04.1875 – ?). სადგურის ექიმი.
~ (2.07.1914, სამტრედია) მარიამ ლუკას ასული ურუშაძე.

16/8. ივანე ილიას (ილიკო) ძე. (1897 – 1969).
~ ლუბა, აზნაურ ნიკოლოზ აბაშიძის ასული. (1902 – 1943), სოფ. ბოსლევი.

17/9. ბარბარე (ბაბო) ვასილის ასული. (1902 – 1970). ისტორიკოსი; მუშაობდა ივანე ჯავახიშვილთან, ეწეოდა, აგრეთვე, ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას.

18/9. თინათინ (თიკო) ვასილის ასული. (25.07.1903 – 08.07.1980). იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (1950), პროფესორი (1951), სისხლის

სამართლის ქართული სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1967).

19/9. გიორგი ვასილის ძე. (21.10.1904, თიანეთი – 9.09.1973). აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სკოლის ფუძემდებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1942), პროფესორი (1942), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1968), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), პოლონეთის ორიენტალისტთა საზოგადოების საპატიო წევრი (1966), დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოების საპატიო წევრი (1964).

20/9. ელენე (ელიკო) ვასილის ასული. (19.04.1910 – 1988). ექიმი, მიკრობიოლოგი.

21/9. მარიამ (მარგო) ვასილის ასული. (23.04.1913 – ?).

22/12. ოთარ მიხეილის (მიხაკო) ძე. (27.04.1907 – 1945). დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში.

23/13. ალექსანდრე (ალიოშა) იოსების ძე. (1.11.1989 – 29.03.1967).
~ მარიამ ადამის ასული ჩუბინიშვილი. (1890 – ?).

24/13. ვლადიმერ იოსების ძე. (12.06.1893, ქუთაისი – ?).

25/13. მიხეილ იოსების ძე. (3.10.1897 – ০ 1922).

26/13. ალექსანდრა იოსების ასული. (25.04.1899 – ০ 1922).

27/13. თამარ იოსების ასული (1.03.1902, ქუთაისი – ?).

28/13. ნიკოლოზ იოსების ძე. (10.08.1905 – ০ 1922).
~ თამარ, აზნაურ გრიგოლ აბაშიძის ასული. (1905 – ?).

29/13. ელენე იოსების ასული. (10.06.1907 – ?).

30/16. ილია ივანეს ძე. (დ. 1936).

~ ლეილა, N. ბიჭინაშვილის ასული.

32/22. მარიამ (მარო) ოთარის ასული. (დ. 1945). ქორწინების გარეშე შვილი. ატარებდა ჯერ დედის (გვარად – ვინდი), ხოლო შემდეგ – მამინაცვლის (გვარად – რეგენფუსი) გვარს.

33/28. მზია ნიკოლოზის ასული. (1927 – 2018).

~ გივი დომენტის ძე ალასანია. (1926 – 2008).

34/30. ნინო ილიას ასული. (დ. 1964).

~ დათო, N. გავაშელის ძე.

გამოყენებული წყაროები, ლიტერატურა და ვებგვერდები

სამსონია 2005: ნინო სამსონია, მიხაკო წერეთელი და ასირიოლოგია, თსუ გამომცემლობა, თბილისი

ურუშაძე 2012: ლევან ზ. ურუშაძე, დიადი სულის უკვდავება (მიხაკო წერეთელი), გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი

საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი № 489, *„საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა“*(1814 – 1917)

ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი № 1, *„ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულო“*(1837 – 1917), აღწერა № 1, 2, 3

გენეალოგიური ვებგვერდი – https://nobility.pro/genealogy/individual.php?pid=I41426155&ged=tree

ვიკიპედიის სტატია ვასილ წერეთლის შესახებ – https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9A_%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98 – დარედაქტირებულია 2020-09-07

ვიკიპედიის სტატია გიორგი წერეთლის შესახებ – https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98_%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98_(%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98) – დარედაქტირებულია 2019-01-29

ვიკიპედიის სტატია მიხაკო წერეთლის შესახებ – https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%98%E1%83%9A_%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98 – დარედაქტირებულია 2019-01-29